



პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



# PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ

12 ივლისი, 2017

დამატებითი ინფორმაციისთვის:

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის

ადმინისტრაცია: პაატა ლაგვილავა,

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

ტელ: 599 626 561; ელ-ფოსტა: [paatanews@gmail.com](mailto:paatanews@gmail.com)

USAID Zrda პროექტი: ქეთი რეხვიაშვილი,

კომუნიკაციების მენეჯერი

ტელ: 032 222 74 95; ელფოსტა: [krekhiashvili@zrda.ge](mailto:krekhiashvili@zrda.ge)

**ანაკლის ფესტივალი: სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის და**

**USAID-ის Zrda პროექტის თანამშრომლობა რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნით**

ანაკლია, ზუგდიდი - 2017 წლის 12 ივლისს, USAID-ის მისიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ტომას მორისმა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, ერთად გახსნეს ანაკლის ფესტივალი - ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს სამუშაო ადგილების და შემოსავლების გაზრდას აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის მახლობლად მცხოვრები ადამიანებისთვის და ამავდროულად, სასიამოვნო განწყობას შეუქმნის ყველა მონაწილეს. ფესტივალის ფარგლებში, სტუმრები შეხვდნენ საოჯახო სასტუმროების მფლობელებს და ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც USAID-ის Zrda პროექტი ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად ეხმარება ტურიზმის განვითარების კუთხით.

ფესტივალის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს 50-მდე კომპანია საკუთარ პროდუქტსა და მომსახურებას შესთავაზებს. სტუმართაგან ბევრი რეგიონს საერთაშორისო დონეზე აღიარებული, ერთთვისანი ელექტრონული მუსიკის ფესტივალის, „GemFest 2017“-ზე დასწრების სურვილით ეწვევა. სავარაუდოდ, წელს GemFest 100, 000-მდე ადგილობრივ და უცხოელ სტუმარს უმასპინძლებს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და USAID-ის პროექტი Zrda ერთობლივად მუშაობს ტურიზმის განვითარების, ტურისტული პროდუქტების, ახალი ტურისტული მარშრუტებისა და ღირშესანიშნავი ადგილების პოპულარიზაციის მიზნით. ამ თანამშრომლობის მიზანია ტურიზმის სფეროში მომუშავე სუბიექტების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვება.

ანაკლის სასტუმრო „თეთრი სახლი“ ერთ-ერთია იქ არსებული 200-მდე საოჯახო სასტუმროდან, რომელიც დარეგისტრირებულია Booking.com-ზე და მისი გაყიდვების 70% სწორედ ელექტრონულად წარმოებს. ზუგდიდში არსებული რესტორანი „მენძელი“ ერთ-ერთია იმ 15 ადგილობრივი რესტორნიდან და კაფედან, რომლებიც დარეგისტრირდნენ TripAdvisor-ზე, რის შედეგადაც მათი გაყიდვები 40%-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, 50%-ით გაიზარდა გაყიდვები მარტილის მარანში „ოდა“ მას შემდეგ, რაც Zrda პროექტმა ორგანიზება გაუკეთა საინფორმაციო ტურს საქართველოს 16 წამყვანი ტუროპერატორისთვის, რომლის მიზანიც იყო რეგიონის ღირშესანიშნაობების შეტანა მათ ტურისტულ პაკეტებში.



პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



**USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა** არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge> და [www.zrda.ge](http://www.zrda.ge).

**USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში:** უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>